ოქმი:**ო03. 3724106001**

თარიღი:**15/04/2024**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი, 11 აპრილი

ქ.ოზურგეთი

11.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ნ. ქარჩავა, ლ. ბიგვავა, ქ. ხომერიკი, მ. ვაშალომიძე, გ. შარაშენიძე, ს. ქარცივაძე, გ. მდინარაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის მერიის პირველი მოადგილე გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. გოლიაძე, მუნიციპალიტეტის მერიისა და USID -ის ერთობლივი პროექტის მენეჯერი -რ. ბოლქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა საკითხის განხილვის დაწყებამდე სიტყვა მოხსენებისათვის მისცა მუნიციპალიტეტის მერიისა და USID-ის ერთობლივი პროექტის ექსპერტს - რამაზ ბოლქვაძეს, რომელმაც ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებაში დანერგილ სიახლეებზე და იმ მიღწევებზე, რომლებიც შესაძლებელი გახდა ერთობლივი პროექტის განხორციელებით. განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოსახლეობის უფრო მეტად ჩართულობის აუცილებლობაზე, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მომზადებულ ბიუჯეტის შესრულების ამსახველ ერთობლივად შემუშავებულ გზამკვლევზე.

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც

ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, 350 ათასი ლარიდან გახარჯულია 236 ათასი ლარი. არსებულ ნაშთებზე, კერძოდ 2024 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 10933 ათასი ლარი, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. შეკითხვა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამის შესრულების შედარებით დაბალ (77%) მაჩვენებელზე დასვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ი. მახარაძემ- განუმარტეს, რომ ამ პროგრამით გამოყოფილი 365 ათასი ლარის განკარგვა მუნიციპალიტეტის მერიას დონორისა და თანადაფინანსების გარეშე არ შეუძლია. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ გამოვლენილი ხარვეზები არაა არსებითი ხასიათის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განსახილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე